ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3070818

ნომერი: AR1470588

თარიღი : 13.01.2017

გაცემის თარიღი : 01.02.2017

გაცნობის თარიღი : 01.02.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ინტენსიფიკაციის ქ-ის მიმდებარედ , ნაკვეთი 06/073 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტები
  - სახელოსნო (სამკერვალო, სამხატვრო, სამჭედლო და სხვა)

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ

გადაწყვეტილება

თქვენი 2017 წლის 13 იანვრის #Aღ1470588 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ მიწისნაკვეთზე #01.10.18.006.073 სახელოსნოს (სამკერვალო, სამხატვრო, სამჭედლო და სხვა) რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენასგაცნობებთ, შემდეგს:

როგორც წარმოდგენილი ფოტოსურათებიდან, ინტერაქტიული რუკიდან და ტოპოგრაფიულიგეგმიდან ირკვევა, ტერიტორიაზე ნაწარმოებია მშენებლობა და არსებული შენობა-ნაგებობამშენებარეა, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იქნეს მშენებლობის დაწყების დამადასტურებელიდოკუმენტი; უნებართვოდ ან/და სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობისშემთხვევაში მოხდეს მისი დემონტაჟი და ამის შესახებ ეცნობოს ზედამხედველობის სამსახურს, ანსაქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის II პუნქტითანახმად, დამრღვევის მიერ წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტიდა ჯარიმის ქვითარი, ამასთან საკითხი განიხილება ახალი მშენებლობის ფარგლებში.

ასევე გაცნობებთ, რომ განაცხადის ფაილის მიმაგრების შესაბამის დახარვეზებულ ველში თქვენს მიერ ატვირთულია საქართველოს ეროვნული არქივიდან გამოთხოვილი საპროექტო დავალების ფრაგმენტები, კერძოდ: საინჟინრო გეოლოგიური კვლევის წინასწარი მონაცემები, გენ-გეგმა და ქალაქის მთავარი არქიტექტორის 1989 წლის 01 აგვისტოს N448 ბრძანება, რომლითაც შეთანხმდა ვაშლიჯვრის დასახლების მესამე ზონის ი.ბ. სტალინის სახ. ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის საუწყებო სახლებით მოშენების პროექტი, თავად ბრძანებაში მითითებულია რომ აღნიშნული არ წარმოადგენს ნებართვას და სამშენებლო სამუშაოები უნდა დაიწყოს სათანადო ნებართვის გაცემის შემდეგ, რაც მშენებლობის ნებართვას არ წარმოადგენს. შესაბამისად სამსახურის პოზიციის თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არადამაკმაყოფილებელია.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის თაობაზე ინფორმაცია ან დოკუმენტი არ ფიქსირდება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადისგამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულვადაში არ იქნება გამოსწორებული ხარვეზები, საკითხი დარჩეს განუხილველი.გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველიდოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.